ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3457024

ნომერი: AR1529343

თარიღი : 02.08.2017

გაცემის თარიღი : 08.08.2017

გაცნობის თარიღი : 17.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა III რეხი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარენ სოკრატიანი პ/ნ 01019014738
- ორთაჭალის ჩიხი IV N2

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 1 აგვისტოს №3424641 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017

წლის 2 აგვისტოს №AR1529343 განცხადებით მომართა კარენ სოკრატიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 1 აგვისტოს №3424641 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 1 აგვისტოს №3424641 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი-ჩუღურეთი, ქუჩა III რეხი, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი № 01.16.08.005.034), განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 01 აგვისტოდან 2018 წლის 01 აგვისტოს ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში ჩანაწერი „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 01 აგვისტოდან 2018 წლის 01 აგვისტოს ჩათვლით”, ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 01 აგვისტოდან 2019 წლის 01 აგვისტოს ჩათვლით.”
სამსახურმა სათანადო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის 2017 წლის 2 აგვისტოს №AR1529343 განცხადებით დაყენებული მოთხოვნა შეესაბამება სამსახურის 2017 წლის 1 აგვისტოს №3424641 ბრძანებას და განმცხადებლის მოთხოვნა აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 1 აგვისტოს №3424641 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში დაფიქსირდეს ჩანაწერი „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 01 აგვისტოდან 2019 წლის 01 აგვისტოს ჩათვლით.”
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 1 აგვისტოს №3424641 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.